20 იანვარი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი



# ეშმაკის მათრახი



№ 16



ტფილისელი ,,იკარიელები''.    ,,ტვინი და სული''.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სული და ტვინი.

ბერძნებს ჰყოლიათ **დედალი**,
(არა ქათამთა ჯიშისა,
არამედ ვინმე მხატვარი
მექონე დიდის ნიჭისა.

ეს ამბავი ძველის ძველია. დედალს ჰყავდა ერთი შვილი **იკარი**. ზეპირ გადმოცემის სიტყვით, დედალმა, რამოდენიმე დანაშაული ჩაიდინა და შვილითურთ საპყრობილეში ჩასვეს. სატუსაღოში მამამ გააკეთა სანთლის ფრთები, ერთი თავისთვის, ერთი იკარისათვის და ორივენი გაფრინდენ. შვილი ძლიერ მაღლა აფრინდა, მიუახლოვდა მზეს, სიმხურვალისაგან სანთლის ფრთები გაუდნა და ზღვაში ჩამოვარდა. მამა იკარისა, დედალი, გადარჩა.

იკარს დარჩა ხუთმეტიოდ შვილი ჩვენს ქალაქ თფილისში, რომლებსაც „იკარელნი“ ანუ „იკარიიცები“ ეწოდებათ და ერთი მეგობარი, რომლისა სახელი არს რობაქიძე.

თფილისელი ძენი ‚იკარისანი‘ იკრიბებიან ,,პურ.ღვინოს‘‘ ზედა სართულში და ბინდ-ბუნდით მოცულ ოთახში, იკეთებენ სანთლის ფრთებსა და თავებს. მეგობარი იკარისა წელიწადში ერთხელ მათ ლექციას უკითხავს სულისა და ხორცის ანუ ორი ადამიანის შეერთების შესახებ‘‘

მათი აზრით ადმიანს სული ან ცხვირში და ან ყურებში უნდა ჰქონდეს. როდესაც ადამიანი კვდება, სული გამოდის ცხვირიდან და მიბრძანდება ღმერთთან, სასუფეველში, ან ეშმაკთან ჯოჯოხეთში. ამის მიხედვით თფილელი ,,იკარიელნიც‘‘ ეძლევიან სხვა და სხვა გვარ სულიერ სიტკბოებაგანცხრომას.

მაგრამ ვანო გომართელმა
ტვინში ნახა ,,სულის‘‘ ბინა
და დანებით აღჭურვილი
,,იკაროსებს‘‘ მოევლინა.
ჯერ, პირველათ, რობაქიძეს
გადაუხსნა თავის ქალა
და ლამბაქზე ამოიღო
მისი ,,სულიერი‘‘ ძალა.
მსწრაფლ მოდუნდა მეცნიერი
ჩამოსცვივდა სანთლის ფრთები
და შესძახა საბრალო ხმით:
,,კარგი ვანო, რას მიშვრები.‘‘

დანარჩენი ,,იკარიელების‘‘ მაგალითმა ყოველგვარ მეცნიერულ მოლოდინს გადააჭარბა:

როცა მათაც აუხადა
გომართელმა თავის ქალა,
ოი დიდო შეუფერ!!
ტვინის ნაცვლად დახვდა ჩალა.

**ეშმაკი.**

# მამანი ქალაქისანი.

—

სპერმაკუდინსა და ეშმაკის მათრახს არსად არ ექნება ისეთი ფართე სარბიელი, როგორც ქალაქის საბჭოებში და მეტადრე ტფილისისაში. საკვირველია, თქვენმა მზემ! ამ ,,ეშმაკის მათრახის‘‘ რედაქტორი დაძრწის ათას დაბა-სოფლებში, თუ წვრილ ქალაქებში, დაიქნევს თავის სუსხიან მათრახსა და ხან ვის გადაუჭირებს ბეჭებზე, თუ ბეჭებ ქვეით და ხან ვის, ხოლო ერთხელაც ვერ შემოიხედა ტფილისის საბჭოში, სადაც ასეთი მსხვილ-ბეჭიანი და უფრო სხვილ-თეძოიანი ქალაქის მამები მოსვენებითა მჭერ-მეტყველობენ. არა, ნეტა ტფილისში მაინც არ იბეჭდებოდეს მისი გაზეთი, კიდევ ჯანი გავარდნოდა ჩვენის საბჭოს უგულებელყოფას, თორემ აქვე გვერდზე ტრიალებდეს ჩინებული მათრახი, აქვე გვერდში გეგულებოდეს ჩინებული სამათრახე ბეჭებ-თეძოები და სხვაგან კი გარბოდე საკბილო მასალისათვის, ეგ ვერაფერი ანგარიშია, სწორე მოგახსენო პატივცემულო ამხანაგო ეშმაკო.

სხვა დროს კიდე ჯანი გავარდეს, მაგრამ ამ თვის 8, 9 და 14 სწორეთ თვალი საბჭოს კრებაზედ დამრჩა—ან ეხლა შემოიხედავს ეშმაკი, ან ეხლა თქვა, მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. მერე რა შემთხვევა იყო-და!.. მამანი ქალაქისანი თათბირობდენ იმაზე, ადამიანია ხელოსანი და აქვს უფლება მუშაობისა განსაზღვრულ დროს განმავლობაში, თუ იგი ეკუთვნის პირუტყვთა რომელსამე ჯგუფს და ამიტომ დროსა მის მუშაობისასა არ უნდა ედვას საზღვარიო. წარმოიდგინეთ, რომ მამათა შორის აღმოჩნდენ ისეთი სათნოიანი კაცები, რომელნიც პილატესავით იბანდენ ხელს და ურჩევდენ საბჭოს — ნუ გაერევი მაგ საკითხის გადაწყვეტაში, აბა რა ჩვენი საქმეა, განუსაზღვრავენ ალები ხელოსანს სამუშაო დღეს თუ არ განუსაზღვრავენ, ჭირიც მოუჭამნიათ ჩვენთვისაო. ასეთ მამათა მეთაურად აღმოჩნდა ყოფილი ქალაქის თავი და ეხლა ხმოსანი ქ. ა. ვერმიშევი, რომელიც ერთ დროს, მას ჟამსა შინა, როდესაც ჰბერდა განმათავისუფლებელი ქარიშხალი, ჰო, იმ დროს იჭაჭებოდა ტრამვაის მომუშავეთა გულისპასუხის დაცვაში. დღეს კი, როდესაც რეაქციის ზუზუნმა ლამის ყურები გაგვიხვრიტა, ბ-ნი ვერმიშევი გულშეწუხებულია მუშათა თავ-გასულობით და დასტირის ალებისა და „ხაზეინების“ ბედს მუშების ხელში. ჭირისუფლებათ ამოსდგომიან მას გვერდში სალიანელი დოლუხანოვები, ერევნელი შახბუდალოვი, ყაზახელი მელიქ-ბეგლიაროვი და კიდევ სხვანი. მთელი სამი დღე აფრქვიეს ცხარე ცრემლი ,,ხაზეინების‘‘ უდროვო დაღუპვაზე, მაგრამ მაინც ვერ მოულბეს გული საბჭოს, ვე-ე

დაიცვეს მათი ინტერესები. საბჭომ მაინც გადასწყვიტა, რომ სახელოსნოში მუშა არავინ უნდა ამუშაოს 8 საათის მეტი, თანაც იმ პირობით, რომ 4 საათის მუშაობის შემდეგ უთუოთ უნდა შეისვენოს ერთი საათი და მხოლოდ მაშინ შეუდგეს დანარჩენ 4 საათის დამთავრებასო.

აი, როგორ საგანზე იყო თათბირი და რა ღირსების საგანი ირკვეოდა ჩვენს საბჭოში. ნუ თუ აქ უადგილო იქნებოდა ან ეშმაკის ღონიერი მათრახი და ან მის მიერ ახლად გამოგონილი ბროუნ სეკარის სითხესებური სპერმაკუდინი! არა, ბატონო რედაქტორო, არ არის კარგი ხელის შეუხებლობა ქალაქის საბჭოსი, თორემ შენ იცი.

**სტუმარი.**



# ბ ა თ უ მ შ ი.

## სტუდენტების ვეჩერი.

სტუდენტთა „ვეჩერს“ დავესწარ,
ბათუმს რომ გამართულიყო,
ერთი თვის განმავლობაში
რიხით რომ მზადებულიყო.

კლუბის დარბაზში სტოლები
ძეხვებით დაფარულიყო,
სტუდენტთა ბრძენი თავები
კრახმალში ჩასაფრულიყო.

სატლინკავათა გაწვდილი
ფეხები მომართულიყო,
სცენიდან ლექსი მასმინეს
შინაარსითა კრულ იყო.

სტუდენტურ ყელში ბლომათა
ნუნუა გადაკრულიყო,
ზედმეტი ხტუნაობისგან
ერთი წრეს გადასულიყო,

იატაკზედა საცინლად
ბრაგვანით გაშხლართული ო
და შუბლი მისი მხურვალე
სიმსივნით დაფარულიყო.

დაბოლოს ურთერთ საგვემათ
მუშტები ამართულიყო,
ვთქვი: კუდო ერთო მათრახის,
**სად მყევხარ ეხლა, სულიკო...**

## ,,ბოლნიცა''.

საავადმყოფოს ვესტუმრე
ჰაობში ჩამალულიყო,
ხმა ბაყაყების ,,საამო''
სუსხიდან მიმალულიყო.

იქ ვნახე კაცი, სეკრეტრათ
ოზურგეთს ბრძანებულიყო,
შემდეგ კი ქიათურაში
პრისთავათ დაბარგულიყო;

სახლითა, მიწა-ადგილით
ქანქარით იგი სრულ-იყო,
მარა ზედ-მეტზე აბა ვარს
რომ აცხადებდა ვინ იყო?..

ახლა კი საავათმყოფოს
,,სმატრიტლათ'' გაჭიმულიყო,
შევძახე: განა შენს მეტი
სხვა ვერვინ ნახეს, სულიკო?..

გავიგე: ესე დანიშვნა
პროტექციისგან ქმნილიყო,
და გამგეობა ქალაქის
ამ ,,საქმით'' კმაყოფილიყო.

გამგეობისგან ალბათ სხვა
ვერავინ მონახულიყო...
ვთქვი: კუდო ერთო მათრახის,
უცხუნე მაგათ, სულიკო...

კენტი

---

## სასიამოვნო ამბავი.

ამ ბოლო ხანებში ბაქოში შემდგარა ფრიად შესანიშნავი და მასთან ,,ინტერნაციონალური'' **„დამსახიჩრებელი“** ამხანაგობა. მასში შედიან უმთავრესად გურულ-მეგრელ-რაჭველები. საზოგადოების მიზანია ზნეობრივი გარყვნა დიდ ფირმებში მომუშავე მუშებისა. აღნიშნული სიმპატიური დაწესებულების გამგეები სხვა და სხვა წამლების საშვალებით ასახიჩრებენ მუშებს **ხელოვნურათ** და შემდეგ იწყებენ საჩივარს ფირმებთან. ერთ ხნობით ამხანაგობის საქმე ჩინებულათ მიდიოდა და ბევრმა ხელოვნურათ დასახიჩრებულმა მიიღო რიგიანი **ჯილდო**, მაგრამ ვიღაც ბოროტმა ენამ ეს ამბავი ადგილობრივ ს. დემოკ. ორგანიზაციას აცნობა და ამხანაგობის საქმეც უკუღმა დატრიალდა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ძლიერ შეაშფოთა ზოგიერთი ცუდლუტი წევრები პატივცემულ „დამსახიჩრებელი“ ამხანაგობისა.

**დონ-ფერნანდო.**

**რედაქციისაგან**: სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს ახალი ნაყოფი რეაქციისა მარტო ბაქოს საკუთრებას არ შეადგენს. ჩვენს ტფილის ქალაქშიაც ბლომათა გვყავან ევრედ-წოდებული „სახიჩარ-მეისტრები“, რომლებსაც ფრიად ფართე სამოქმედო **ასპარეზი გამოუნახავთ.**

როგორც ბაქოს „დაჩსახიჩრებელი" საზოგადოება, ისე თფილელი „სახიჩარ-მეისტრები" ხელოვნურათ უზიანებენ კლიენტებს სხვა და სხვა სალ ორგანოებს და ცრუ მოწმეთა საშვალებით ათას გვარ საჩივრებს იწყებენ. აღებული ფულის უმთავრესი ნაწილი „სახიჩარ-მეისტრებსა" და „სახიჩარ მოწმეებს" მიაქვთ, ხოლო უმცირესი თითონ დასახიჩრებულთ. თუ ღმერთმა ინება და ეს რეაქცია კარგა ხანს გაგრძელდა, ეს დარგი „მოღვაწეობისა" ფართეთ გაშლის ფრთებს.

## „Ფ ა რ ს".

ჩუ? ეს ნეტა სით გამოტყვრა?
აწერია თავზე „ფარი"
ნახირ-ნახირ იგაზეთებს
ერთგვარ ცხოველთ შესაფარი.
წავიკითხოთ მეთაური
უბოლო და უთაური:
გასული წლის კრიტიკაა
სისულელით უცნაური.
აბა შეხეთ „საჯავოხელს",
აღუმართავს ბუშტის ფარი,
ანგრევს კანონს ბუნებისას
არ სურს ქვეყნათ პროლეტარი!!!
ამ ნაცარქექიას იცნობთ?
მებრძოლს ირქმევს ბაძავს გმირებს,
სხვის თვალებში ბეწვს დაეძებს
თვისაში ვერ ამჩნევს დვირეს.
ბიჭოს, აგერ „თომა პუსა"
აქ რაღა სურს უგნურსა?
ნუ თუ „ფარი" ყველას იღებს
ჭია ღუას, კოლო ბუზსა??
სჩანს რო „ფედერალებია"
ეს საწყალი ფარელები,
უსაქმური ყოყოჩები
ეს უჯარო ღენერლები.
მა რა გიკვირთ, ასეთია
მათი საქმე და მიზანი
დაე გვტყორცნონ კურკანტელით
გატენილი ზარბაზანი.

შხანკოლა.

## ი უ ბ ი ლ ე ი.

ლანჩხუთის საზოგადოებას გადაუწყვეტია იუბილეი გადაიხადონ იაშა ბოქაულის ორი წლის ენერგიული მოღვაწეობისათვის.

იუბილიარს მიართმევენ შემდეგ საჩუქრებს: 1) ვაჭრები—აფერადებულ ნაჭრის საბანს, როგორც დროშას მოსაგონებლათ ბაზრის გაძარცვისა.

2) გლეხები—სარკის მენდალს ზედ წარწერით: „ფარნების შემმუსვრელ გმირს" (მეორე გვერდზე): „ახალაკი მახალაკი ჩვენი ჭირი ფათარაკი ფუი ძველ წელიწადს".

3) დამწვარი ოჯახებიდან—თითო კალთა ნახშირს.

მიქიაშვილის გრამაფონზე იმღერებს ერთ-ერთი საყვარელი შემდეგ ლექს იავნანას ხმაზე:

მთელ წელს მკლავზე გაძინებდი
ჩემი გული შენ მოგანდე,
და რათ გიკვირს სხვაზე უფრო
ალათიას რომ უყვარდე?
ვერიჩკა ხომ ქმარზედა გცვლის
ელპიტიაც სხვას წაჰყობა,
მე კი შენი სიყვარული
სამარეში თან ჩამყობა.
ვაჰ, თუ გზაში შემიწუხდე
ანდა მოგხდეს მტრის ისარი,
ვინ მოგწმინდოს სიმწრით ოფლი
ალათია იქ არ არი.
ვინ დალია ჩვენი სისხლი
აქედან ვინ წაგაშავა
ყველა ჯაშუშ ხულიგნები
დააბნელა დააშავა.
მთელ წელს მკლავზე გაძინებდი
შენი ქისა მთლათ მომანდე
დღეს მშვიდობით, მაგრამ გთხოვთ რომ
სხვებზე უფრო მე გიყვარდე,

ვოგზალზე გაცილებისას საერთოთ იმღერებენ სამგლოვიარო ხმაზე შემდეგ ლექსს:

მიქიაშვილი წაშავდა, იმისი პირი გაშავდა
ადესელები მიუზღავს, რაც ჩვენში მისგან დაშავდა.

ხიც-ხიც



## ზღაპარი არ გეგონოთ.

„ვისაცა ასხენ ყურნი სმენად, ისმინეთ!"

რუსეთს ყავს ერთი ფხიზელი მღვდელი პეტროვი, რომელსაც ჩვენებურ ავტოკეფალისტებსავით მარტო კუჭი არ დაუსახავს თავის ღმერთად ის ცნობილია როგორც ჰუმანიური ადამიანი და მწერალი (ლამბაშიძეს და ჩიჯავაძეს ბევრად სჯობნის) ერთხელ პეტროვმა ქ. ორლოვში წაიკითხა ლექცია

—ეს შეიტყო მოსკოველმა მოძღვარმა მოდავითო არსენიევმა და სინოდს „დანოსი“ მიართვა: მღ. პეტროვმა ღმერთი უარყოო. დაინიშნა გამოძიება.—დაიბარეს მედანოსე მღვდელი არსენიევი, მან უტიფრათ განაცხადა, რომ ლექციას თვითონ არ დასწრებია, ხოლო რაც დანოსშია ყოველივე ეს მან გაიგო თავის დის ნადეჟდასაგან. შეეკითხენ ნადეჟდას. ნადეჟდა თურმე პეტროვს არც კი იცნობს, მას ეს ამბავი გაუგია „სესტრიცა“ მარიამისგან, დაეკითხენ „სესტრიცასაც“, აჰა ღმერთო ჩემო! ლექციას არც მარიკო დასწრებია, მისთვის უამბნია ერთ ნაცნობ „ბარიშნას‘—აღმოაჩინეს „ბარიშნაც“, დიდ-არს უფალო სახელი შენი! ლექციაზე არც ბარიშნა ყოფილა, მან სადღაც, ვიღაცასგან გაიგონა, რომ ერთი გემნაზიე~ი ქალი, რომელიც პეტროვის ლექციას დაესწრო ღმერთს უარს ყოფდა. მკითხველო, იქნებ წაგიკითხავს „როდნოე სლოვოში“ შეგირდობის დროს „ბაბკა, ზა დედკუ, დედკა ზა რეპუ‘, აი ასეთ ხოხოლაზე ააშენა უწმიდესმა სინოდმა თავისი ბრალდება და პასუხის გებაში მისცა მღ. პეტროვი—თუკი ეს უწმინდესმა სინოდმა ჩაიდინა, რაღა გასაკვირი იქნება ჩვენებური ბიუროკრატიული მართლმსაჯულებისაგან ასეთ „განაგონის, განაგონზე“ ააშენოს თავისი ბრალდება და ციხე-კატორგაში გაგზავნოს უდანაშაულონი—ეს ამბავი მჭიდროთ არის დაკავშირებული ხვალინდელ ამბავთან. ხვალ, 21 იანვ. სამოსამართლო პალატა იწყებს განხილვას „გურიის რესპუბლიკის“ საქმისას. მოწმეთ გურიის ცნობილნი საზოგადო „მოღვაწენია‘‘, ის „მოღვაწენი‘‘, რომელთაც ოზურგეთის გადანათებასთან ერთად გული გაუნათლდათ... მათ ეგონათ, ეხლა კი დავიბრუნეთ „დრო წარსულიო‘‘ და „ალავერდიც‘‘ კი შემოსძახეს. თავიანთი ბრალდება „განაგონზე‘‘ ააშენეს და ვიზედაც ცოტა უკმაყოფილო კი იყვენ, სამართალში მისცეს. ვნახოთ ბოლო რა იქნება, ჩვენ კი გავიმეორებთ:

„ვინც სახნავი უკუღმართად
აღმა ხნას და დაღმა ფარცხოს
შე ის იმ ხურს ნუღარ მაჭმევს
რაც იმისგან გამოაცხოს‘‘.

**მათე.**

---

## საგულისხმოთ.

(ვუძღვნი კ. მ—ს)

გრძელ თეთრ-წვერა,
გაიძვერა
ბათუმიდან „სოფლათ ძვრება“,
პედაგოგობს,
დემაგოგობს
და უფრო მეტს არა შვრება.
თვით ბებერი,
ტვინით შტერი,
გარყვნილების წუმპეშია,
ცოცხლათ მკვდარი,
გამაძღარი,
იმას ვერ გრძნობს, სხვებს თუ შია.
ბეჩავ სოფლის,
დამღვრელთ ოფლის,
მასწავლებლებს არაფრათ სთვლის;
მათ ჯამაგირს,
თქმათ რომ არ ღირს,
თავის დროზეც კი არ აწვდის:
ორ-სამი თვით,
ეგ ნუ გიკვირთ!
უგროშფულოთ სტოვებს მშივრებს,
და ამავ დროს
ამ მცირე გროშს
ვერ აშორებს თავის სკივრებს...
უდარდელათ,
დაუსჯელათ
ის განაგრძობს ამ ხელობას,
მას დროც სწყალობს
და უგალობს
„რეაქციას“, „თვითნებობას‘‘!
მაგრამ მალე,
დღეს თუ ხვალე,
სანეტარო წამი დაჰკრავს
და, თვის მონა
რომ ეგონა,—
„მის‘‘ წინაღმდეგ ენას აღძრავს
და ვაი, „მას‘‘!
მსგავს ქამა-სმას
მომავალი ჩაამწარებს..
მაშ, დღეს ლხენა,
ჯიბის ტენა
ხან-მოკლეა, ნუ ახარებს!

**ონისიმე.**



## გურული სცენა.

**ფატიას წერილი კალუსტინესთან.**

ჩემო ყოვლის უსაყვარლესო, ძილსა და ღვიძილში მოსაგონარო, დავო კალუსტინე!

პირველად ყოვლისა უთვალავ-უანგარიშოს გაკოცებ შენს ლამაზ ტუჩებში მოგილოცავ წარსულ დღესასწაულებს, ღმერთმა ბრავალს დაგასწროს შენი ძვირფასი ქმარშვილით და ყოველივე შენი მოსახედავით, სასო ღვთიშობელს ვსთხოვ ისთე ყოფილიყო, ძოყვარეს რომ უხაროდეს და მტერს თვალი ეფსებოდეს, ღმერთმა გაგიზარდოს შენი ალმასის კეკალივით ძვირფასი ქალიშვაჟი და სამი უღელი კიდევ მოგცეს გასაზდელი. შენი ლამაზი შავი თვა-

ლების ჭირი შემეყაროს, ჩემს მაგიერ ჩამიკოცნე შენი თამრო და გოგი, იგინის გაზდით ღმერთმა შენი გული გაამხიარულოს. მომიკითხე დიდის მორიდებით შენი ბალიშის მოზიარე ვარდენი—ღმერთმა შეგაბეროს ბზე და მთვარესავით. სხვაი ვიცი შენი ანგელოზი გუნების ანბავი, რომ ახლა ჩემს ანბავსაც იკითხავ, მე ღვთის და შენი წყალობით ქე მიდგია გაჭივრებული სული; სული არ ამევიდა თვარა სხვაი აფერი სიავე არ მაკლია, მიკვირს რას უკავია, ჩემი ქმარი ჯერ კიდევ არ გუუშვიან, ხუთას მანათს მთხოვენ სირიე სულ აყეფებულის პირით, ხუთასი მანათი არა, ჩემ ბარაზე გახვრეტილი შაურიანი არაა, ძმარი გადიერო გულზე ჩემი ქმრის ძმას, ქე შუუძლია მუახერხოს, მარა ფული დახარჯოს კი არა ისე გამეისხა ძაღლის ხორცი, რომე ციხეშიც არ უნახავს. რაცხა პაწეი აფხანაკების იმედიც კი მქონდა, მარა ყველაი ტყეშია გადაცვინული და თვითონ მისახედავმა მე რაფერ მომხედოს. ღმერთი გაამწარებს ჩემს უსამართლოთ გამწარებელს. აწი შექალო რომ იცოდე რაფერი სიაბდლე დამემართა, მადლობა ღმერთს ჩემ ქმარს არ შეუტყვია, თვარა ცოცხლითაი დამმარხვიდა. ენა გატრაშალებულმა კახპა სონიამ მირჩია ვერიჩკას შიეხვეწე პაწე რაცხა ფეშქაში მუუტანე და იგი პრისთავს ეტყვის და ქმარს დაგიხსნისო, ხომ იცი ბეჩა რაც გიამება იმას ადვილად დეიჯერებ, გამუვაცხვე იმისთანაი ხაჭაპური, იმისთანაი ხაჭაპური, რომ გურიელის ბუშს კი არა, დასტურ გურიელის კნეინას ეკადრებოდა, ცხრაი ჩვილი ყველი უქენი, ერთი კაი დედალი შევწვი, ერთი დიდი ბოთლი ღვინო იაგორ გვარჯალაძეს გამუართვი, ნამყენი ზემოური ვენახი აქ იმას, რაცხა კიდევ სხვაი ჩეჩიტები, ჩავალაგე, რაღა ბევრი თავი შეგაწყინო ოცობოდურაით, ერთი დიდი სახვავო კალათი გავაფსე, გამუუდგი ჩემს უფროს ბიჭს ფხარზე, წევიყვანე სხვაი ბალნებიც, იქნება თავი შევაცოდვო მეთქი, ენა-პირი ვერ გამოსთქვამს რაფერ მე იმას შევეღმერთე... ძროხას შარილი მუატყუებს და კაცს ენაო რომაა ნათქვამი გაატატაშა ენა, შიახმა ღღეისტორამდი, შენ რას ირჯებოდი, ან რას იხარჯებოდიო, მე თუ კი რამე შემიძლია ბაღანაის პირით რომ შემოგეთვალა რავა დაგზარდებოდიო, დუვუკოცნე ხელები, მიწა ვნახე დაყრილი ღმერთო შენით მის ხელებზე და წამევედი აფართქალებული. რა შუაშია, მოგეხმარება კი კი არა, ნაფთს გადაგირებს ცეხლზე. აი ჩემი მიტანილი ძღვენი უნელათ წიენკალა, მიიტანა თურმე პრისთავისას, გუუმჟღავნებელი ხომ აფერი დარჩება, გეიძრეს თურმე ტანზე ორივემ, ჩაწვნენ ვანაში და ისე მიირთვენ ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური, ჩემდა რავა უთქვამს ერთი ღრინი მეც მარა მასაც, ნუ გეშინია არც მას გასთენებია ტკპილათ კაი დღეი, მისმა საყვარელმა პრისთავმა შეკრა ბარგი და ქე გეიპარა, ქე დარჩა ჩვენი პატიოსანი ვერიჩკაი შარაზე გამოჭენებული, ვერიჩკაი, ვერიჩკაი და შენგან გამჟღავნებას არ მიველი, ბევრმა ქალებმა დეიბურძღლეს თვალები პრისთავის გაპარვა რომ შეიტყვეს... სხვაი რა მოგწერო, მოსაწერი ბევრი მაქ, შენთან მუსაიფით რა გამაძღებს, მარა ახლა მშვიდობით შენი ჭირიმე, ძუძუის ნაწყვეტმა ბალანმ გეიღვიძა და წერას კი არა კვერის ჩაგდებას აღარ დამანებებს. კიდევ გაკოცებ მილიონი გზობა ჩემო კალუსტინე, იმედია ერთ-ორ განაწერს შენც არ დამამადლი და ჩემს დახშულ გულს გაახარებ. შენი ნახვის მონატრული ფატი ასკურავა.

**პიტნა.**

---

# წერილები ეშმაკისადმი.

**ჭიათურიდან**. შვილო ეშმაკო' გილოცავ ახალ წელიწადს და ვუსურვებ შენი მათრახის კუდს გამარჯვებას. აქ ახალი არაფერია. ერთი საათით ბათუმს ჩავფრინდი და შემდეგი ამბავი მითხრეს:

ხომ გახსოვს აქ, ჭიათურაში რომ გურული ბოქაული იყო? ის საცოდავი სამსახურიდან გადამდგარა და ამ ჟამათ თურმე არავითარი სახსარი არ აქვს ცხოვრებისა, მხოლოდ 600 მანათს იღებს წელიწადში და ეს ფული რას უშველის მას! იგი ხომ თვეში იღებდა ამდენ ფულს და დიდი პატივის ნაჩვევია. მაგრამ ხომ გაგიგონია შვილო ანდაზა: „კარგი ჰქენი—ქვას დასდევი, გაიარე—წინ დაგხვდებაო'', ამასაც ასე მოსვლია. ბათუმის ქალაქის ერთ მამათაგანს ყურში ჩასწვეთებია ამ კაცის გაჭივრება; შესულა მისს მდგომარეობაში და გვარიანი ადგილი გაუჩენია ამ პატიოსანი ნაპრისტავალისათვის. ხომ იცი ბათუმის ქალაქის სასაფლაო? (ოხ, უკაცრავათ, საავათმყოფო) თუმცა ამ სასაფ. ფული, ენა მიყივის.. ხო, თუმცა ამ საავათმყოფოს ამ ჟამად ყავს ზედამხედველი, რომელიც ჯერ-ჯერობით არც კვდება, არც ავათ ხდება და არც თავის ნებით აპირებს ადგილის თავის დანებებას, მაგრამ ზემოხსენებულ მამას გადაუწყვეტია ეს ადგილი უთუოთ ბ. ნაპრისთავალს უფეშქაშოს, იმ მოსაზრებით, რომ ახალი სმატრიტელი დიდს რეფორმებს მოახდენს ბოლნიცაშიო. ავადმყოფები ძალიან თავხედად იქცევიან თურმე. აქ კარგ მოვლასა და ბევრ საჭმელ-სასმელს თხოულობენ. მომავალი სმოტრიტელი კი ამაებს არ გააბედვინებს იმათ, ზომიერათ მისცემს ყველაფერს, რაც მათთვის საჭიროა, ხოლო რაც სბერეჟენიედან დარჩება იმას... იმას... იმას მცირე ჯამაგირის შესავსებათ იხმარს, რადგან 150 მანეთი (აქ ასი მანეთია ფულად ჯამაგირი) საჭმელ-სასმელი, სახლი, შეშა, წყალი არ ეყოფა ამ პატივის დაჩვეულ კაცს. ხომ გაგიგონია, შვილო, ანდაზა: „უჩვეველსა ნუ მიაჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო“.

შენი მოყვარული მამა **ზოსიმე.**

---

**ს. შინდისიდან.** ეშმაკო! ხალხში ხმა არის დავარდნილი: ჩვენს მამასახლისს ხაზინიდან ეძლევა სასამართლოსთვის ხარჯებიო და აგვიხსენი გენაცვალე, ეს ხარჯები რიღასთვის გააწერა ამ მამაცხონებულმა. წარმოიდგინეთ ბ-ნო ეშმაკო, გლეხებს ვალდებულად ხდის მუქთაათ უზიდონ: შეშა, ქერი, თივა, ბზე და სხვა ამგვარები. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რაღა გვეთქმის, ზაკონიც კანონიერი **იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ საქმე იალლიშათ არის, დაალევინე მას ი რაღაც ,,კუდინი'' რო მოგიგონია.

**პატარა ეშმაკი.**

—

**ჭიათურიდან.** ბ-ნო ეშმაკო! შენ როგორც გატყობთ უფრო ხშირად ჰაერ-ჰაერ დაფრინავ და დედამიწაზე რა ხდება, არ კითხულობ. ახლა ერთი სათხოვარი გვაქვს შენთან. ვინ იცის ქნება ჩვენ არ დაგვიჯერო და მოდი შენ თითონ შემოიარე ჭიათურის საავათმყოფოში. დილის ცხრა საათზე რომ მოხვალ, ნაშვადღევის ორ საათამდე (ეს უკანასკნელია!) დერეფანში დაგჭირდება ცდა. დერეფანში რასაკვირველია ვერც დაჯდები და კიდეც გაიყინები. შენ იტყვი: ,,ეს თფილისის რკინის-გზის საავათმყოფოშიაც ეგრეაო'' მაგრამ რა შედარებაა!

სამი-ოთხი საათის ცდის შემდეგ მოგხედა, ვთქვათ, განგებამ და დაიწყეს მიღება. ჯერ გამოიძიებენ შენს ვინაობას ადამ და ევიდან მოწყებული. თუ უმუშავარი აღმოჩნდი, ან ბედმა მაღაროში მუშაობა არ გარგუნა, წამალზე ტყვილათ არ მიგასუნებიებენ. მართალია დღეს მაღაროში მუშაობა არ არის და საავათმყოფოში კი 35 კაცი წევს, მაგრამ ეს ძმა ბიჭობითა და ნათლი-მამობით ხდება. შენ თითონ შეამოწმე ბ-ნო ეშმაკო და თუ მართალი გამოდგეს, რაღას გვერჩი, უცხუნე ერთი მათრახის კუდი იმ პირებს, ვისაც უფრო შეეფერება ამ შემთხვევაში.

უმუშევრების მონდობილობით მუშა სარდიონ

**კაკაბაძე.**

—

**სიმონეთიდან.** ძვირფასო ძმაო ეშმაკო! ათასჯერ განვიზრახეთ შენი მოწვევა, მაგრამ მუდამ გვეხათრებოდა შეწუხება და ვითმენდით. ახლა აღივსო მოთმინებისა ფიალა უნდა გვიშველო რამე. სიმონეთში მოსვლა ორი გზით შეგიძლია, თუ აჯამეთის სადგურზე ჩამოხტე მაშინ მღვდელ ალექსი ყიფშიძეს ნუ დასტოვებ უნახავს. დრამის ფულები დიდის ამბით აბოჭა, მაგრამ სავახშმო საგზალი მაინც მიიყოლიე. ეს იმიტომ, რომ შობას მრევლი გაეფიცა და ერთი კოკორი არავის მიუტანია.

თუ სვირიდან წამოხვიდე, მაშინ მოძღვარ მეთოდესთან შეიარე. მართალია ამასაც გაფიცული ყავდა მრევლი საშობაოთ, მაგრამ სამაგიეროთ დრამის ფული ამანაც ერთი ზარითა და ზეიმით აკრიბა. სასაცილო სანახავი იყო მოძღვარი მეთოდე, როცა ლაფშა ცხენი წაყვანა და ბაყ-ბაყ მდეური ურემი ცარიელი წაიღო ეკლესიიდან.

„ერთი ჭირი მარგებელიაო'', იტყვიან და დრამა ფულის აკრეფამ სტრაჟნიკებს სწორეთ კატის ყველიერი გაუთენა. რაც ქათმები იყო სანახევროთ მაინც გააწყალეს.

ერთი თუ ძმა ხარ აზიარე ის მოძღვრები შენ მიერ მოგონილი სპერმაკუდინით და იხსენ სოფელი სიმონეთი განსაცდელისაგან.

**სკვინჩა.**

—

**ქობულეთიდან.**

ძმაო ეშმაკ! წერილს გწერ
შენი რეჯებ, მეგობარი!
გაიხსენე ქობულეთი,
სამოთხისა დასადარი.
ერთი მათთვისც მოიცადე,
ჩამოფრინდი უეჭველათ,
თან მათრახიც წამოიღე
ზურგთა მათთა ასაწველად.

ჩამოფრინდი, მაგრამ ფრთხილად: ვოკზალში „საგენტო განყოფილებამ“ თვალი არ შეგასწროს, ხოლო ვოკზალსა და „ქალაქს“ შორის წუმპეში არ ჩაიხრჩო. თუ გადარჩი „აგარაკის“ პაწა ბაზარს მიადგები. აქ მოიმარჯვე მათრახი და ვინც შეგხვდეს მარჯვნივ თუ მარცხნივ უცხუხე და უცხუნე. არ დაინდო არც ვაჭარი, არც ნოქრები, თან ჰკითხე, რა დაუშავეს წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა, რომ ასე სასტიკად სდევნიან მათ. ამ მხრივ „ქრისტიან ვაჭრებს“, მეტი აკუთვნე, რადგან ისინი მეტი „განქექილი“ არიან, და „ვისაც მეტი ებოძების, მას მეტიც მოეთხოვების“ განკითხვის დროს.

ამას რომ მორჩე, აქაური „კლუბ-საყავეები“-ს კარები შეაღე და დაურიდებლათ მისთავაზე ყველას რომ, იქნებ აწ მაინც დაერიდონ იქ ფულზე ნარდ-კამათელებს და ქურდ-ბაცაცობა-ცარცვა-გლეჯა-მკვლელობის გეგმათა შემუშავებას. ამ „სასახელო საქმეებში“ კი მუსულმანებს მეტი ერგებათ. შემდეგ, სასოფლო-სამმართველოს მწერალი პარმენ ინახულე, ერთი თვალი გადაუბრიალე და უთხარი, „ხელის ჭუჭყი“ ნუ უყვარს, „წმინდანებს“ ნუ ემხრობა და ნამეტნავად გადაწყვეტილი საქმე „უჭუჭყოთ“ სისრულეში მოიყვანოს.

აქედან, თუმცა ძლიერ საშიშია, მაგრამ „კინტრიშის უჩასტკის უპრავლენიაში“ შეხვალ. ჯერ „დელოპროიზვოდიტელს“ ნახავ. ამას თვალების სასტიკი დაბრიალება აკმარე ჯერ-ჯერობით; რისთვის,—თვითონაც კარგათ მიხვდება. ზემო სართულში მომხადებული აქი. აქ „მთლად დიდი ვინმე“, ამა ქვეყნის ბატონ პატრონი ინახულე, მაგრამ ნახვის უმალ წარბში შეხედე, რომ გაიგო, ეს ვინ არი:

ეს ის არის, ვინც ,,ბაშენ''-ს სთხრის,
როცა ,,აშენს'' ვერა წვდება;
ან ,,აშენი'' როს ხელთ უწუობს
ქანქართ გროვას, ,,ანკარებას''.
ეს ის არის, ვის ბლიკგებში
არავინ ჰყავს ტოლი, ბარი;
და ,,კუდინი'' უანწებითაც
მისთვის არ არს დასაზარი.

ამას რომ თავი დაახწიო, იქ, მისს პირდაპირ, ფოსტის ნაჩალნიკი ინახულე, ერთი ოცდახუთი უთავაზე შენი მათრახის კუდი და დაარიგე, რომ ამას იქით მაინც იქონიოს ღია ფოსტის კანტორა კანონისამებრ.

აქედან საავადმყოფოშიც შედი, ბამოიხმე ფერშალი, ერთი ოციოდე უცხუნე და დაარიგე, რომ ,,ვიზიტის'' დროს საწყალ ხალხთან ვაჭრობას ნუ გამართავს. აქედან აფთიაქშიც შედი და უმოწყალოთ უცხუნე მეაფთიაქეს, ისე უმოწყალოთ, როგორც ის უმოწყალოთ „იმასშობა“ მედიკამენტების მყიდველებს.

ამათ გარდა კიდევ ბევრი მყავს აქ შენთან „სარეკომენდაციო“, მაგრამ თუ ყველას წამლობა მოინდომე, მაშინ აქ, ქობულეთში, უნდა დასახლდე და ამისთვის კი დღეს არ გცა-

ლია, და ვერც მე გირჩევ, ყველა აქაურები ერთად „მოიი-მასქნა", ამიტომ დანარჩენები შემდეგში იყოლიე სახეში. ეს კი იმას არ ნიშნავს, დანარჩენები ვითომ ყურადღების ღირსნი არ იყვნენ... ავიღოთ, თუ გინდა მძარცველ ბრბოთა მეთაურები, ,,ძმა-ბიჭები'', მათი ხელისშემწყობ-დამხმარენი: რით არ დაუმსახურნიათ ამათ არა თუ მათრახის კუდი, არამედ ,,სპერმაკუდინიც''!... მაგრამ მე ჯერ კარგათ ვერ გამოვიანგარიშე იმათთვის საექიმო საშუალებათა ,,დოზა''; გამოვიანგარიშებ და შემდეგ მოგწერ; ეხლა კი, სანამ მშვიდობით,

შენი მარადის რეჯებ-ეფენდი დრობილო.

—

**სენაკიდან.**

რაც მართალია,—კარგია, კიდევაც მოსწონია,
მაგრამ გემდურით, ეშმაკო, და დაგვიჯერებთ მგონია.
შენი კუდ-მწარე მათრახი თუმცადა ქების ღირსია
მაგრამ სენაკში ჯერ არვის უცდია გემო მისია.
ჩვენშიაც ბლომათ შეგხვდება წურბელა, სისხლის მსმელია,
ისკარიოტი იუდა, მაცდური გამცემელია.
ახლა კი აღარ იყონო, შეჯექი მეგუზალზედა
და გამოფრინდი აქეთკენ სასურველი ხარ ძალზედა.
პირველად კოსტას ეწვიე, აღარ დაინდო ტიალი
ბევრი გჭირია მის ზურგზე მათრახის კუდთა ტრიალი.
ეგ პირველია ყველაზე და უმეტესად ცნობილი,
მაგრამ შენ უკეთ არ იცი რა შვილია და რა ხილი;
შემდეგ ეწვიე გეჯეთელს, შეუხიცინე ზურგზედა
ეს დიმიტრია ეშმაკებს სულს რო მიჰყიდის ფულზედა.
მამასახლისად ნამყოფი, „გამოსარჩენით'' გამსკდარა
ხალხისა შრომით ნასუქი მთავრობის მონა გამხდარა.
მერმე პეტრესთან გადადი, მაგრამ სიფრთხილე გჭირია
ჩუმი და ფარისეველი, აქ მაგისთანა ძვირია.
არ დაგავიწყდეს ისლამი, ესეც მაკათი ცალია
და სამ გზის ზურგზე არ გაჰკრა არ არის სამართალია.
შემდეგ იხილე ჩიჩუა, თითქმის კოწიას ტოლია
მშიერ-მწყურვალე გლეხები მუდამ სახრავათ ყოლია.
თუმცა ,,ესფერებს'' ეტროფოდა, რა კი დრო გამოიცვალა
ჩვენმა ბატონმა გიორგიმ მაშინვე ფერი იცვალა.
შემდეგ მონახე ლეონტი და ივარჯიშე მასზედა
ნურას დაგიშლის ამ წინეთ ტყვია რომ მოხვდა მკლავზედა
გახსოვდეს გულ-მოსულია და მეტათ გაჯავრებული
მართალსა ხალხზე ჯავრს იყრის სხვისაგან გამწარებული
აქ შევწყვეტ, წერას და გიცდი, ვინძლო არ დააგვიანო
უბრალო მიზეზებისთვის საქმე არ დაიზიანო.

**მუშა ნოსირელი.**





**მესტვირული.**

დაუკარ, ჩემო ქამანჩავ!
ამღერდი, ჩემო სტვიროვო!
რაც კი ამდენხანს ვილხინე,
აწ უნდა დავიტიროო!
ჰეი, დროებავ, დროებავ,
მეუფევ მთათ და ბარათა!
შენ თუ კი მწყალობ,—მეფობაც
გროშათ არ მინდა, ფარათა.
მაგრამ რას ვამბობ? ორ წელზე
აგერ მეტია თითქმისა,
რაც ,,საქმე'' სულ წინ იწევდა:
საყვედურიც არ მეთქმისა.
მეფე ვიყავი, მაშ არა?!
ფულით მე არა მშიოდა:
თვეში ათასი მანათი
ცოტისგან შემომდიოდა,
ვიჭერდი, ბნელეთს ვამწყვდევდი,
ვიზედაც გული მტკიოდა,
ქვეყანა, ერი და ბერი
შემომტირ-შემომჩიოდა...
მხოლოდ ამ წლიდან რაღაცა
ვერ ვატყობ საქმეს ხეირსა.
ვაი, თუ შემოვეყარო
უდროვოთ თავის სეირსა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,მათრახმა'' საახალწლოში
საძაგლათ მომიხსენაა:
თითქო რაც ვიყო, მე ვიყო
ქვეყნის ჭირი და სენია!
უფროსმა ამითვალწუნა
და მიმზერს რაღაც ცერათა,
ხელქვეითიც კი ახირდა;
არ მაგდებს არაფერათა;
სარკეშიც ჩვეულებრივ რიხს
რაღაც ვერ ვამჩნევ სახესა...
ღმერთმა დასწყევლოს! ნეტავი,
ხომ არვინ მიგებს მახესა?!.
რაღაც ,,სიჩუმეც'' გამეფდა,
ამას არ ვიყავ ჩვეული,
მიყვარდა მე ზღვის სტიქია
აჯანყებული, რეული.
მუნით რომ ამომიზიდავს
,,თევზი'' მსუქანი, რჩეული,
დღეს კი ბადესაც ვერა ვშლი''...
,,წყალი არ არის მ..ვრეული''...
გულმაც კი იგრძნო რაღაცა,
რომ ცუდი მოსავალია,
ყვავიც ხშირ-ხშირათ დამჩხავის
და მიკანკალებს თვალია...
ეჰ, წახდა ჩემი დროება
და აღარც შემობრუნდება'..
ასეა: ახლის მოსვლაზე
ძველი თანდათან ხუნდება!..
ჰეი, დროებავ, დროებავ,
მეუფევ მთა და ბარისა!
შენს წინ თვით მეფის ფასიც კი
ნაკლეა ერთი ფარისა!
დაუკარ, ჩემო ქამანჩავ!
ამღერდი, ჩემო სტვიროვო!
რაც აქამომდე ვილხინე,
აწ უნდა დავიტიროვო!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## ექსპრომტი.

ქუთაისელ ,,ესფერებსა''
ასდგომიათ თავში ქარი,
თუ ამბავი ეს არ გჯერათ
წაიკითხეთ მათი .,**ფარი**''
ქუთათურელ ,,ესფერებსა''
ზნეობისაც სჭირს ,,კატარი''
და თუ არ გწამთ ჩემი სიტყვა
წაიკითხეთ მათი ,,**ფარი**''
უნდათ, ცოცხლათ გაასაღონ
თავი თვისი უკვე მკვდარი,
და ამ ლაყე რეკლამისთვის
დაიარსეს თურმე ,,ფარი''
თავსა თითონ გაიშოლტავს
კაცი ქკუას გადამხტარი
და ქუთათურ ,,ბურჟუიკებს''
ვერ დაიხსნის მათი ,,ფარი''.

**რიჟა.**



## ორი ეშმაკი.

**მეორე ეშმაკი.** სიმღერის გუნებაზე მოვედი, მოდი ერთი თუ ძმა ხარ დავაღიღინოთ რამე.

**პირველი ეშმაკი.** ჩოხ იახში! დავსძახოთ, მაგრამ რომელი გირჩევნია?

**მ. ეშმაკი.** რაღა რომელი, ისევ ჩვენი ,,ალი-ფაშა'' აჯობებს.

**პ. ეშმაკი.** ხოროშოოო! მაგრამ შენ დაიწყე და მე ბანს გოდრით დავსვამ.

**მ. ეშმაკი.** კარგი. მაშ სმენა იყოს.

,,თათარი და რუსი ჩხუბობს
იგი არის ორივ ეში;
ალი ფაშამ გვიღალატა,
ა..ვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულები აიღო
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში''.

**პ. ეშმაკი.** მოიცა, მოიცა, СТОЙ! თათარი და რუსი კი არა ჩხუბობს, სპარსელი და რუსი ჩხუბობს.

**მ. ეშმაკი.** ე-ე-ე, მამა ცხონებულო! ძლივ-ძლივობით გავიმართე ხმა და სულ ჩამიშალე. ახლა სიმღერას მადაც დამეკარგა

**პ. ეშმაკი.** თუ ძმახარ მითხარი, ფესკა გირჩევნია თუ კარტუზი?

მ. ეშმაკი. რის ფესკა და რის კარტუზი
რის პრასა, რის ნიახური
სულ ერთია ვისი მოგხვდეს
მუჯლუგუნი და პანღური·
პ. ეშმაკი. Да-а-а! почти все равно.

## ს ა ა მ დ რ ო ო თ.

აჰა ელია მელია,
სტვირს კიდევ ვსტაცე ხელია,
თუმცა ლა მომიახლოვდა
სიბერე საძულველია,
მარა გავბერე ქამანჩა
ეს ჩემი გუდა ძველია,—
მინ და ლექსებით შევამკო
იროდი უზრუნველია,
რიგოლეტო და რიშბაბა—
ენა ბილწი და მელია,
მონადირე და ჩახმახი,
პროკოპი ასკანელია,
გუნიას აწონ-გაზომვა
არც თუ ამ რიგათ ძნელია.
მითხარით, რაზე ქაქანობთ,
ჩვენი მწერლობის მღილებო
„ეშმაკის მათრახის“ კუდით
ათასჯერ დადაღილებო,
სირაჯხანაში ტიკებთან
მჯდომნო, გულ გაღელილებო
ლანძლვა-გინების საუნჯევ
და ქვეყნის ურგო შვილებო!
მითხარით, სიდან იძახით
არაყით გალეშილებო?
თბილი ადგილის ძებნაში
მოქანცულ, გადაღლილებო.
ტყვილა ყოფილა ნათქვამი
ეს,—აბრუ გატეხილებო,
რომ „ყბედსო მუნჯი ღალავსო“,
თქვე, ენა დაგრეხილებო.
მომართეთ მყრალი ორგანო,
გაჰკარით ქამანდურია
მოხადეთ ნეხვის ჰურჭელი,
თქვენ,—გული უწმინდურია.
ამოსცხეთ როგორც იცოდეთ
ერთმანეთს ნიშადურია,
შემდეგ მოდექით, იხტუნეთ
იძახეთ აკმაკურია,—
„აპრუწუწუნის წამალი
პრასა და ნიახურია“.
მოძებნეთ ღვინის მარანი,
შემწვარი ინდოურია,
ზედ მწვადი, ბეჭი, მწვანილი,
ყანწები იქაურია,
დასძახეთ ძველი შიქასტა,
დაბუქნეთ კინტოურია.
მაშინ აგეძვრის სურვილი,
—სამშობლოს სამსახურია
სიტყვით შეაქებ, სანამდის
ღვინით გიბჟუის ყურია
და საქმით ასჯერ გაყიდი
თუ არ გაქვს ლუკმა პურია.
მამალმა მგელმა წამართვა
თქვენებრ უწველი ფურია.

ბლიკვაძე.



## „სპერმაკუდინის“ „ზაკაზები“.

**ბათუმი.** გთხოვთ დაუყონებლივ გამოგვიგზავნოთ თქვენი „კუდინი“ ორი ჩარექი. საჭიროა ბათუმის ნოქართა დელეგატების მიერ არჩეულ კომისიისათვის, რომელმაც ნერვების სისუსტისა გამო აგერ მესამე თვე გადის ვერ გამოიკვლიეს ბროშიურების ანგარიში. თუ თქვენმა წამალმა გასჭრა მყისვე გაცნობებთ. ყუნჩი.

**ყვირილა.** გვიშველეთ; ტელეგრამით გამოგვიგზავნეთ სამი ყანწი „კუდინი“. გვეჭირვება ადგილობრივი სამკერვალოს ხაზეინებისათვის. დიაგნოზი ზრდილობაზე გადაბიჯება, სამუშაო დღის განდიდება ვიდრე 15—16 საათამდე და სხვა მრავალი მზგავსი ამისი.

ადრესი: ყვირილა, ბ. მ. ლ—ძისა და ბ. ს. დ—ძისათვის. (საკუთარ ხელში).

სკურე-პირელი.

**ჩოხატაური.** „გამოსარჩენის“ პრაქტიკა ძლიერ განვითარდა ამ ბოლო ხანებში. საჭიროა შესაფერი პორცია „კუდინისა“. ვინძლო არ დაგვიგვიანოთ. ადრესი: ჩოხატაური, ბოქაულ მაისურაძეს. შემოუთვალეთ რაც მას მორჩება, სხვებს გადასცეს. რია-რია.

**სუფსა.** აუცილებელია „კუდინის“ წვეთები სადგურის უფროსისათვის, რომ ვარი თქვას „გამოსარჩენის“ პრაქტიკაზე. ძლიერ მადლობელი იქნებიან აგრეთვე ლაზარე და მისი ძმა ჯიჯიეშვილები, ერმილე და კოწია ტიკარაძენი თუ უსასყიდლოთ გამოუგზავნით ვინაიდან სილარიბისა გამო ფულს ვერ გადაიხდიან. ახლა ჩაეწერენ ტელემაკის რაზმში.

კასიო.

**საჯავახო.** ბ-ნო ეშმაკო! თქვენ ალბათ შეეჩვიეთ ადამიანის ტანჯვას, მაგრამ თუ ხათრი გაქვს ნუ დაგვიგვიანებ „სპერმაკუდინს“ ჩვენი დაბის მოვაჭრე ონიფანტე ზაქრაძისათვის. მისი ავათმყოფობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო მეზობლურ ანგარიშებში პოლიტიკურს ურევს ხოლმე და ასე აპირობს პოლიციის დახმარებით ლუკმის გატანას.

## ს ი მ ღ ე რ ა.

ჩემო ძმაო მანასე, ხან ისე და ხან ასე:
ვინც დაგიკრას ,,ბუწკანტი'' შენ მუდამ ითამაშე.
სითაც ქარმა მოჰბეროს, შენ იქითკენ წადიო,
ნუ გექნება ნურას დროს გულში ფიქრი, დარდიო.
სადაც სჯობდეს ტკბილი სთქვი, სადაც არა მწარეო
ზოგჯერ ღრმა სთქვი ,,აზრები'', ზოგჯერ უფრო
მდარეო.
შემთხვევისთვის მზათ გქონდეს ოხვრა და ტირილიო.
ბუქნა, ხოხვა, სიდინჯე, მოწყენა, ღიმილიო.
,,ერთობის'' ხმა მოგესმას, შენც ,,ერთობა'' იძახე
მთავრობის სიყვარული გულში შემოინახე
დრო მოუვა იმასაც, დაგიბრუნდება ძველი
ასე ცვალებადია, ძმაო, წუთი-სოფელი.
მაშ ხან ასე, ხან ისე ჩემო ძმაო მანასე
არავის აწყენინო, ყველასთვის ითამაშე

**ვ. მალაქიაშვილი.**



## რაფერ მევიჯაყე!

(ნამდ. ამბავი გურიის ცხოვრებიდან).

ზევარიკაის გასათხოვარ ქალიშვილ ლამაზ მაკრინეს მთელი თავისი არსებით უყვარდა მეორე სოფლის მცხოვრები ზალიკაის ბიჭიკო. ან კი როგორ არ შეუყვარდებოდა მოხდენილი, ტურფა უწვერულვაშო ჭაბუკი ბიჭიკო. სიტყვა-პასუხში მოსწრებული, სწავლის მიმდევარი, მოთამაშე, მოცეკვარი, ერთი სიტყვით სახელათ რომ ბიჭიკო არ რქმეოდა და დარაის ბლუზა არ სცმოდა, ვაჟიაო მისთვის ვერავინ იტყოდა, კალმით ნახატი იყო. გაიცნეს ერთმანეთი „ჩაუგეზელ მიმინოეს“ ერთმანეთს თვალები და ერთი-მეორე შეიყვარეს.

უმანკო მოსიყვარულების შემდეგ გადასწყვიტეს, რომ ცოტას დაიცდიან, ბიჭიკო ბათუმში წავა, ზავოდში ადგილს იშოვნის, საქორწილო „ფარას‘ თავს მოუყრის და კანონიერათ შეუღლდებიან. თქმა და ქნა ერთი იყო. ბიჭიკო წავიდა ბათუმში და ადგილში ჩადგა, მაკრინე კი ყაჭობისთვის მოემზადა, ერთი „კარობკა“ კეკალი საკუთრად ,,დაიჟინა'' და ხარჯს გარეთ კაი 60 მანეთი დედას მიაბარა. ბიჭიკოდგანაც მოსდიოდა უსტარი, იწერებოდა რომ მას თვეში 30 მანეთი აქვს, აქედგან 22 მანეთს ვინახაო. ენკენისთვე გათავდა, მაკრინეს მამა ზევარიკამ მშვენიერი მაჭარი დააყენა, ზევარიკას მეუღლეს გულიჯანსაც ჩასუქებული ინდოურები და დედლები ყავდა, შემამავალიც ხელათ გაჩნდა და რადგან ხელი არაფერზე შეეშლებოდათ და სასიძოც არ იყო ხელიდგან გასაშობი მაკრინეს არც კი კითხეს ისე ხელად გადასწერეს ჯვარი. ბევრი იტირა ტურფა მაკრინემ, ბევრი წყევლა-კრულვა უთვალა, მის ქმარსაც და თავის მშობლებსაც მაგრამ მაყრებმა მაყრული შემოსძახეს და მაკრინე მისი ქმრის ოჯახში წაიყვანეს. ცხენზე შეჯდომის წინ მშობლებს ჩვეულებისამებრ არ დამშვიდობებია ქმარის გასაგონათ ,,დაიქადნა''.—,,გამიტეხეთ პირი მარა გიზამთ მაგიერსო“.

### II.

მაკრინეს ქმარი სამსონ პრაცენტაძე იყო ერთი შეძლებული გლეხის შვილი, მამა მისი პეტრე იყო ერთი თავადის ნაფარეშევი, მერმედ მოურავად ნამყოფი, ბოლოს მამასახლისათაც კი აირჩიეს. მოკლეთ ვთქვათ პეტრე იყო სოფლის პირობაზე კაი ,,გამოსულქისინებული'' კაცი. პირველად მან შემოიღო სოფელში ნამთავნის მაგიერ პროცენტის ხმარა, მე ფულს ნამთავნიზა კი არ ვასესხებ, გაჭივრებულს ტყავს კი არ ვაძრობ, მე მხოლოდ პროცენტს ვიღებო იტყოდა ხოლმე ამაყათ პეტრე; და ასეთი „შეღავათიანი“ პირობები რაკი იყო, მუშტარიც ბევრი ეხვევოდა მაგრამ როცა გაიგეს პროცენტი ნამთავნზე კარგი არ არის, მეტი რაღა ექნათ და მეტ გვარათ პროცენტაძე დაარქვეს. მდიდარი იყო ჩვენი პეტრე მაგრამ ბედნიერი მაინც არ იყო, ერთად-ერთი ვაჟი ყავდა და ისიც ,,ჩოფანო''. მართალია სამსონი სახით არ იყო დასაწუნი ბიჭი, მაგრამ არავითარი საქმის უნარი არ ჰქონდა, მისი სიძაბუნე ყველამ იცოდა მაგრამ რადგან მდიდარი ,,დაზენგილებული'' ოჯახის პატრონი იყო ქალს ვინ დაუკავებდა. თვითონ სამსონს არც კი უნდოდა ცოლი შეერთო მაგრამ მამას უარი ვერ გაუბედა. . აი ასეთ ოჯახში ხვდა მაკრინეს ცხოვრება, ის ქორწილის მეორე ღამესვე დარწმუნდა, ბიჭიკოს ნაცვლად რა ბიჭი შეახვედრა ბედმა (,,ფლავი ვის უდგას და იშტა ვის აქვსო'' ქვითინით წარმოთქვა, სამსონს კლავი გამოაცალა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა... ასეთი უნაყოფო ღამეები საწყალმა მაკრინემ ბევრი გამოსცადა და ბევრჯერ მოაქცია ბალიში ,,გასაწურავათ'' საკუთარი ცრემლით).

### III.

მაკრინე და ბიჭიკო ერთმანეთს წერილებს სწერენ...

### IV.

შობა წინადღეა. ყველა ოჯახი ფუსფუსებს, ყველა მოძრაობს, ბავშები ხტუნაობენ, ყველაფერ დავალებას სიამოვნებით ასრულებენ, მღერიან

,,ხვალ შობა, ხვალ შობა,
ჩვენი ხუცის დარჩობა''.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ოჯახი სახვალიო სამზადისშია. პეტრე პროცენტაძის ოჯახობაც ემზადება რასაკვირელია. ას ოცი კეკალი კვერცხი ,,ლვეძლისთვის'' ორი დღის წინ მოხარშეს, გაფცქვნეს, შემოაწყვეს ,,ჩეჩოზე'' და „ოჯინჯალზე“ ხმება, მაკრინეს დედამთილი ზეხა სალვეზლე ცომს ზელს... საღამოა... ვიღაცას ჭისკართან ძაღლებმა შეუყეფა .. ძაღლის ყეფაზე მაკრინეს სახე აენთო, გულმა ძაგა-ძუგი დაუწყო.— ,,ვაი სულო, ვაი გულო, თუ დასტურ მევიდა''. ჩაილაპარაკა ჩუმათ და ჭისკრისკენ თვალები გააყოლა ჭის კარი პეტრემ გაალო და სტუმარს შემოუძღვა. ეს იყო გასათხოვარი ქალიშვილი შლიაპით მორთული, ხელში ქოლგით, მას თან ახლდა ერთი პატარა ბიჭი ხელში პატარა ხელის ჩამადნით. მაკრინე გაექანა სტუმრისკენ.—დედა შენი ჭირიმე, რომელი ქარი იყო შენ გენაცვალე ჩემო მაშო, რა ბედნიერი დღეი გამითენე—ამას თუ მივესწრებოდი აგი არ მგონებია.

— შე ქალო, ჩვენც გაგვაცანი აგი პატიოსანი, უთხრა ზეხამ.

— უკაცრავათ ბატონო, აგი ჩემი კვიდრი დეიდაისშვილი მაშოა.

— აბა მეც ვაკოცებ ჩვენიანი ყოფილა, ქე რომ მიჩივოდი ველიო, აგია შე ქალო.

— დიახ ბატონო, თავად აგია, ქალაქში დგანა დიდ კაცთან.

ამ ბაასით ახალ მოსულს შეუძღვენ ოდაში, დაანთეს ბუხარში ცეცხლი და სტუმრის შექცევა მიანდვეს მაკრინეს...

V.

ტკბილათ გაითენა პეტრეს ოჯახმა შობა, მაკრინე და სტუმარი მაშო ერთ ოთახში დაწვნენ, თუმცა მთელი ოჯახობა საზოგადოთ გვიან დაწვა, მაგრამ მაკრინეს და მაშოს ჭუკჭუკი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

— რა კარგია შენიანის, შენი სისხლ-ხორცის ნახვა, ჩემი ახალმოყვანილობა გამახსენდაო, უთხრა ზეხამ პეტრეს. ,,მეალილუეს'' მოსვლა პირველად მაკრინემ და სტუმარმა გაიგო, გამოცქრიალდა მაკრინე და რაც პეტრიეს ოჯახს მის დღეში არ უქნია ალილოს მომღერლებს კაი ათი შაური თავის ხელით მისცა, ზეხამაც მათთვის საგანგებოთ დამზადებული ლვეძელი მისცა ხელში მებარგეს. გაკვირებულმა და ალტაცებულმა ქრისტეს შობის მომლოცავებმა მადლობის ნიშნად ,,მასინძელსა მხიარულსაც'' კი შემოსძახეს. მეორე დღეს მაკრინეს და მაშოს გაღვიძება დასჭირდათ, ზეხამ უკვე ცის იალონზე მოამზადა ,,გასახსნილებელი'' საუზმე, მორიდებით გაალვიძა რძალი, რომელიც ზანტად დათენთილი ადგა, სტუმარს პირი დაბანია, ორივე მოირთვენ მოიკაზმენ და შეუდგნენ ,,გახსნილებას''. მაკრინესაც და მაშოსაც ორივეს დაწყენილობა-დაღლილობა ემჩნეოდა, საჭმელსაც უმადოთ სჭამდნენ.

— ასე იცის ბატონ ქალებო ძილის ტეხამ, შენიშნა ზეხამ.

— ბატონო, მაშო დაღლილია, სტანციაზე ცხენი ვერ ეშოვნა და აქამომდე ამ ტალახში ფეხით მევიდა, მერე მაგი იმფერ ოჯახში კი არაა გაზდილი, დიდი კაცისას გამოზდილია, იქინეი თურმე ჩვენ რომ ვდგებით მაშინ წობიან... სთქვა მაკრინემ.

ასე ამ რიგად გაატარეს შობის დღეები, სამიოთხი დღის შემდეგ სტუმარმა მაშომ წასვლა მოინდომა მაგრამ მაკრინემაც და ყველამ დაუწყეს პატიჟი დარჩიო, ბარემაი შობა რადგან ასე კარგად სიტკბოით გაგვითენე კალანდასაც ნუ გაგვაწბილებ, დაგვიბედნიერე შენი ფეხიო.

— მართალია შვილო დედა შენი კი ამოგვაგდებს წყევლით შვილი წამართვეს უწინ კალანდას გარდამ მოცდასაც კი ,,იბძნიდენ'' მარა ახლა ადამ ყროობის დროი ხომ აღარაა, მოყვრის წყევლა მოყვარეს არ მოუა, უფრო კიდევ იმიზა გეხვეწები მოცდას ჩემო ლამაზო მაშო რომ საწყალ მაკრინეს მას მერე, რაც მევიყვანე შენ მოსვლამდი არ გაუცინია ისე იყო სულ წვიმას აპირებდა...

— თუ ხათრი გაქ ნუ გაგვაწბილოებ მეიცადეო.

— მაშომაც ხათრი ველარ დაუქცია და საკალანდოთაც პეტრესას დარჩა.

VI.

ახალი წელიწადია. პეტრეს სტოლი ,,დაჭვირთულია'', მართალია ძველებურათ არ გაულოცავთ მაგრამ ,,ვიზიტზე'' რაკი მომილოცავათ ბევრ სტუმრებს მოელოდნენ სტოლიც დიდებულათ გააწყვეს ახალ მოდაზე. ჩიჩილაკის მაგიერ სტოლზე იდგა ნაძვის შტო, გაწყობილი სხვა და სხვა კამფეტებით და ხილეულობით. იქვე იდგა შემწვარი გოჭი, ტახი ღორის თავი, შემწვარი ინდოური, კურტუმო ჩაყვითლებული შემწვარი დედალი, სხვადასხვა ნაირი სასმელები მოპეტმეზებული ადესის ღვინო, ფორთოხალი, მსხალი, ვაშლი და სხვები, ეკკლესიაში წასვლამდე მომლოცავებმაც იწყეს რიგრიგად მოსვლა. დღეს დადიოდნენ მარტო კაცები (ასეა მოდათო). მაკრინეც ყველას აცნობდა თავის დეიდაშვილ მაშოს, რომლის შეხედვაზე ბევრმა ამოიოხრა, ის სტუმრებს კეკლუცად ექცეოდა და მაშოს ,,ხაზეიკობაში'' ხერხიანად ეხმარებოდა. წირვაზედაც წავიდნენ, როგორც ქალების ჩვეულებაა მაშომ ყველა ქალები გადაკოცნა, ერთ-ორ-სამ ახალგაზრდასაც ნება მისცა კოცნის, რადგან მაკრინემ ისინი თავის ოჯახის ახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჲლ მოყვრად გააცნო. საღამო ხანს პეტრესას კვლავ მოიყარეს სტუმრებმა თავი, მაკრინემ გიტარა დაუკრა, ზეხამაც თავისი ჩონგური ჩააწკრიალა, შეიქნა ღიღინი, ცეკვა-თამაში, ოხუნჯობა. მაშო ბევრმა ყმაწვილმა გამოითხოვა საცეკვრად, ერთს-ორს ხათრი არ დაუქცია, გაყვა და მოხდენილად ჩამოუარა. ბოლოს აცეკვეს მაკრინეც, მაკრინემ დაუკრა თავი მაშოს, მაშოც გაყვა მაგრამ ყმაწვილებმა უკმაყოფილება განაცხადეს, ორი ქალი ერთად არ შეიძლება დამა კავალერის ცეკვა იყოსო—მაკრინემ ცეკვის დროს ხელად გადააძრო თავის ქმარს ქუდი და დახურა მაშოს და დაუძახა—თუ დობა გწამს ნუ გამაწბილებ, კალანდაა, გეიხსენე ბალღობა და ვაჟურად იცეკვეო. მაშომაც შესცვალა ქალური ცეკვა ვაჟურზე და ისე მშვენივრად იცეკვეს ორთავემ რომ როცა გაათავეს ,,პრავა-პრავას" ძახილით იქაურობა გადააყრუეს—საღამო ხანს იმავე სტუმრების თანადასწრებით ,,აგუნა გადიძახეს" ცოტა კიდევაც წაივახშმეს, ვახშმის დროს ტოლუბაშმა იმდენი იხრიკა რომ მაშოსაც და მაკრინესაც სამი ჩაის ჭიქა სხვადასხვა საპატიო სადღეგრძელო სავსე დაალევინეს—ასე რომ საერთო მხიარულობა ყველას ეტყობოდა—საწყალი სამსონი იყო ჩვეულებისამებრ დაღონებული. ძილის დრომაც მოაწია. პეტრე და ზეხა ჩვეულებისამებრ ადრე დაწვა. დაწოლის წინ ზეხამ განაცხადა:—მე თქვენ ყორიფელს ვერ დაგიჯერებთ, მე პაწეი კიდევ მწამს ძველი დროი, ხვალე ქათმიფერხვაა და დილას ქათმები ადრე უნდა დავაპურო, მე და ჩემი ბერიკაცი ქე დავწობით და თქვენ თუ გინდებიან ჯერ კიდევ გინდა ბანქოით შეიქციეთ თავი, გინდა ნარდით, სამსონი კია მოწყენილი მარა ღმერთი რომ იმის კას ბიჭს მომასწრებს მის ნათვლაზე მეილხენსო".

— კი ბატონო, კი, თქვენ ნუ შეწუხდებით, რავაც გენებება ისე მეისვენე. მოახსენა მაშომ და მაკრინემ. ამის შემდეგ ბევრი არც იმათ დაუყოვნია, ერთი ხელი ,,კვიცის ფეხი" ითამაშეს, მაკრინე ,,გაფორდა" და ისინიც დაწვნენ...

იალონი ჯერ კიდევ არ იყო რომ პეტრე ადგა, წავიდა სამზად სახლში, საქონელს ბაგაში ჩალა დაუყარა, ცეცხლი დაანთო, ჩიბუხი გააკეთა და ცეცხლს ,,მიეფიცხა". ზეხაც შემოვიდა, სახვავო კალათით ტარო სიმინდი მოიტანა და ცეცხლის პირში დამჯდარმა ფშნა დაიწყო.

— რა იყო ბოშო რამ წამოგახტუნა ასე ადრე, ეკალზე ხომ არ იწევი, ჯერ მგონია ერთი მიძინილიც არაა, მეც ძილი გამიტეხე' შენ რომ ადექი მე ვიფიქრე დამათენდა თავზე მეთქი.

— არც ისე ადრეა ოჯო შენ რომ ფიქრობ, მარა რაცხა არ დამეძინა, რაცხა გული სხვაფერ მთქვამს და არ ვიცი რა იქნება, სიზმარიც რაცხა ისეთი ოცობოდური ვნახე რომ ვეფერი ვერ გამევიტანე.

— კაი და კეთილი იცის! შენი შვიდობა იცის ღმერთი კეთილად აგიხდენს. შენ იცი მაინც ნამეტარი ფიქრი... ღვთით რა გვაქ საფიქრალი, ღმერთმა თუ არ მოგვშალა ყორიფელი ბევრი გვაქვს დიდება მის სახელს, ერთი რამე გვაკლია და ღვთისმშობელი დედა იმასაც გვაღირსებს, ღმერთი რავა მოგვიძულებს ისე რომ სამსონის რაცხა არ გვაღირსოს ნათლისცემელი ძრიელი არ გადაგვიყვანს უძიროთ და უფესვოთ.

— მეც მაგის მჯავრი მკლავს ბოშო, შენდა არ მითქვამს შემეცოდე თვარა მტერს რომ უნდა ისეა ჩვენი საქმე—ბევრი მეხვეწა საწყალი სამსონი ცოლს ნუ შემრთავ, არ ვარ საცოლოო მარა არ დაუჯერე, მორცხვობს მეთქი. ახლა კი ვნანობ რეიზა ჩავდექი სხვის ცოდვაში მეთქი მარა რა დროისაა.

— რას ყურობს ამას ჩემი დასაფსებელი ყურები, რავა ჩემი სამსონი არ იყო საცოლო, საცოლო კი არა უკეთესი ეკადრება მისი ჭირიმეს, რა აქ წავხდი დასაწუნი.

— რა და ჩოფანო რომაა... შენ რა იცი, მიდღემჩი ლეჩი იყავი, შენ რომ არ ვარგოდი შენ შვილს რა გამეიყვანდა კას.

— სუ ბოშო, კვიმატი დღეია დღეს რომ ევიშალოთ მთელ წელიწადს ქათმები იჩხუბებენ, თვარა კი ვიცი ვინცხაის ბრალია, თვარ ვარგა, შენ შენ სიცოცხლეში სასახლის აშარ გოგუებთან ეგდე მარა მაგის დროი არაა ახლა და არც წამოგძახებ.

— შენ შენდა ეგდე, ან კი რას გიჩიოდი, მე თუ ქკვა მქონია გვარი გივარგა თუ გუჯაბი მე მაშინ ვიყავი დასაბამი, შენ რომ შეგირთე.

— არა, მაუჭაძე მოგცემდა ქალს შენმა თავის ტკლეცამ, ნეტაი მაცოდინა რა წაგიხთინე, შენგან მეუვიდა ბაბას მოციქული თვარა მას არ დეუდლეტია შენდა ჩოხის კალთაი, არც კი ვიყავი გასათხოვარი შენ რომ არ მომეცი საშველი თვარა, რა მაჩქარებდა.

— კაი ოჯო, ნუ წააგძელე ენა თვარა ხომ იცი ჩემი ამბავი...

პეტრე ადგა და გარეთ გამოვიდა - ზეხამაც თავისთვის რაღაც უკმაყოფილო ბუტბუტი მორთო

. პეტრე გარეთ გამოვიდა, გეიხედ-გამოიხედა უკვე დღის სინათლე იწყებოდა, ის წავიდა ოდისაკენ, ,,პალატში" შეშა ეწყო და ის უნდოდა გამოეტანა. ამას რას ხედავს პეტრე: კიბის ბოლო საფეხურზე ვიღაც გრძელ პერანგიანი სდგას და ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს... ერთ ხანს სამსონი ეგონა მაგრამ ,,ლოჯიდგან" როცა კარ-

გად დაუკვირდა, იცნო ვინც იყო მაგრამ ვაი ამ ცნობას, ეს იყო მაკრინეს დეიდაშვილი მაშო, ,,ვაი რაფერ მევიჯაყე''-ო ერთი კი დაიყვირა და გაეშურა, უნდოდა ხორცად შაეჭამა მისი მომჯაყველი, მაგრამ ის ხელად შევარდა ოთახში, წამოავლო ხელი მის კაბას, მშვიდობით მაკრინეო და გადახტა ფანჯრიდგან. ამ დროს პეტრეც შევარდა ოთახში. მაკრინე მაშინვე მიხვდა საქმე რაში იყო. პეტრეს მოასწრო და თამამად დაუყვირა.

— აბა რა გეგონა ძალითაი რომ წამომიყვანე და იმფერ კაცზე დამწერე ჯვარი... რავა შენ თუ ერთი ქალი კი გეკადრებოდა მე ერთი კაცი არ მინდოდა. გაჩერდი, სული არ დაბერო თვარა ჩემი უბედურობის ამბავს კრებაზე გევიტან, არ მეყო მე სამი თვის წვალება, კი გეგონონ ძველ კაცებს ქალიზა ბზეი არ ამუაო მარა ჩი ჩი—ახლა ჩვენც გვყავს ჰირისუფალი შენც სუ და მეც სუ თვარა თუ გამიგონია ერთი ღრინი პირდაპირ საზოგადო კრებაზე გავამცხადებ რაც მჭირს ერთის მეტი ხომ არ მყავს და მყავს იმფერი, რომელიც უწინ მიყვარდა. მე ბოზი არ გეგონო, მეც ადამიანი ვარ!

— წყეულიც იყოს შენი ადამიანობა, შე გველის წიწილო, იგი დღეი რეიზა არ დეიქცა ახალთაობა და კრება რომ შემოვიდა, თვარა მე შენ გიჩვენებდი რაფერ უნდა სიმაურის შემოკლაპუნება, ახლა კი აბა რავქნა, შენ ბატონი ხარ და მე ყმაი, ჩემისთანა მოხუცებულების აფერი ეკითხება და ყაზილარები შენსავით ახუნტრუცებულია და შენისთანა ლამაზს ვინ მეიმდურებს.

— უკაცრავად, უკაცრავად—იგი დღეი დეილოცა სიმართლე რომ შემევიდა, სილამაზეს კი არა სიმართლეს იცავენ, სიმართლეს და შვაზე რომ გასკტეთ ძველს დროს ველარ დააბრუნებთ ბერიკაცები—ახლა შეგიძლია მიბრძანდე, ჩვენ კიდევ მევილაპარაკებთ ამაზე თუ გნებავთ შინაურულად და თუ მაინდამაინც შენი გვანის გარეთ გატანა გინდა მე უფრო მიამება იცოდე, მარა შენ არ გეწყინოს...

— ვაი რაფერი კალანდა გამითენდა, ვაი რაფერ მევიჯაყე.

ავ-ყია.



## გამოცანა.

დღეი ეტლში, ღამე კლუბში,
ბაქარა და მასთან ლოტო,
ყოველისმხრით ბანკი ქუცმან
უეინაეტ საშა პლოტნო.
იქ, ხომ იცით, მისს მეგობარს
გააკრავენ ათას თუმანს,
ზიმოი ჟიტ ტიფლის ლუჩშე
ლეტომ წავა აბასთუმანს.
თქვენი არის ეს ქვეყანა,
იქეიფე ჩემო საშა,
ბანკის სახლში ფულს ვინ მოგთხოვს,
გაიჭიმე როგორც ფაშა.

მოლა.

## ზ ა მ თ ა რ ი.

სდგას ზამთარი.
ცივი ქარი
მთა და ბარს დაღმუის,
ტყე უღრანი,
სევდიანი,
მოსთქვამს: „ვაი-ვუის“.
არე მარეს,
გულ-მწუხარეს,
სქელ საბანქვეშ სძინავს
და მდინარე,
მგლოვიარე
კაცივით სწუხს, გმინავს.
ცის ფრინველი,
უზრუნველი,
ბუჩქ-ბულულში ჯდება,
და ტყის მხეცი,
როგორც ბეცი,
უგზოთ ეხეტება.
კუშტ-უმადურს,
იმ უბედურს
სტანჯავს რევა აზრის,
და უჭმელი
მტაცებელი
ტყე-ჭალაკათ დაძრწის.
ძრწის და როკავს,
არრას ზოგავს,
საზარლათ პირს აფჩენს,
რასაც ნახავს,
მყისვე სანსლავს,
ძვალს და რბილს არ არჩევს..
სდგას ზამთარი.
ცივი ქარი
მთას და ბარს დაღმუის,
ტყე უღრანი,
ნაღვლიანი
მოსთქვამს ,,ვაი-ვუის''...

ნ. ზომლეთელი.

(ავტორის თხოვნით ეს ლექსი შეუსწორებლათ იბეჭდება.)

რაც რომ გვექინა არ კმარა
კიდევ დავხუჭოთ თვალები?
მტარვალებს მდიდრებს ის გინდათ
რომ აგვიხვიოთ თვალები
ჩვენზე ილხინოთ მუდმითა
არ მოგვცეთ გზა და კვალია
თავებზედ დუხებსა გვისვამთ
და გვახუმებთ ჩვენ იმითი
მაგრამ ტყუილათ ცფიერობთ
გვეყო ამდენი ტანჯვაი
კარგათ იცოდეთ ოდესმე
დაბერამს ზენა ქარია
მზეს დაბნელებს ღრუბლებსა
ატყდება ჭექა ქუხილი
შიგ გაეხვევით ცფიერნო
მაგ თქვენი დიდი ცოდებით

**იოსებ ფანიაშვილი**



# დეპეშები.

**ჭიათურა.** გრ. შ-სა და მ. წ-ძის მედიატორებს ენი დასწვიათ ცხელი მწვადისა და ცივი ღვინისაგან, რის მეოხებით განაჩენს ველარ აცხადებენ.

ჭიათურის სადგურზე მხოლოდ აზნაურს შეუძლია თავისუფლათ გავლა, დანარჩენებს პრიკლადი."

ფორუდის მუშების სადგომის ამშენებელ მოიჯარადრეებს მოუგონიათ ახალი გეგმის სახლი, რომელიც საჭირო დროს მოულოდნელათ ინგრევა და მდგმურებს ჭექყავს.*) ბალაუსელი **პაატა.**

**ყვირილა.** „მაღარიჩის კამპანია" იმიტომ ეწოდა გიორგი ჩანტლაძისა, ისიდორე მოსიძისა და ნესტორ გიორგობიანის ამხანაგობას, რომ ჩვეულებათ აქვთ დეპოში მომუშავეს 10-15 მანეთის მაღარიჩი გადაახდევინონ, რასაკვირველია ალმატებისათვის.

**ალქაჯი.**

**შორაპანი.** ხალხში ხმა დადის მიხა მაჭავარიანს ძლიერ მოუხდება ერთი ბოთლი „სპერმაკუდინიო." საქმე იმაშია რომ ძლიერ დასჩემდა:

უფროსების ფეხ-ქვეშ გება
უმცროსების დაჯაბნება.

„მონტიორათ" გახდომა უნდა და უყმო ბატონსავით ახლავ დაიწყო ყვირილი „დაბალ" მუშებზე. ადრესი „სპერმაკუდინისათვის:" შორაპანი. დეპო. სლესარ მიხა მაჭავარიანს. **ალქაჯი.**

**სოფ. აბაშა** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ „საყვარელი" მოძღვარი თოფურიძე უკვე მორიგებია მრევლს დრამისა და სხვათა გადასახადთა შესახებ სახელდობრ მრევლი იხდის ორ-ორ მანეთს იმ პირობით რომ ეკლესიაში დაიმარხოს.

**ტუზი.**

## „ეშმაკის მათრახის" ფოსტა.

**ევ. დვალს.** საკვირველია თქვენი ამბავი! ამ წინაზე „ეშმაკის მათრახის" რედაქციას თქვენს „პატივცემულ" „წმინდა გიორგიში" ვინ იცის რას არ ეძახოდით. ახლა კი პატივცემულათ იხსენიებთ და „ნიშადურის" საპასუხოთ ლექსსაც გვიგზავნით. ჩვენ ამაზე აი რას მოგახსენებთ: დიდს განსხვავებას თქვენსა და ვალერიან გუნიას შორის ვერ ვხედავთ. როგორც იმ ჭორის გუდისა, ისევე თქვენი ლანძღვა ქებათ მიგვაჩნია და ჩვენს გაზეთში არა გვაქვს სურვილი ისეთი უმსგავსება შევაქოთ, როგორიც „ნიშადური" და მისი მონიშადურე ვალიკო ბრძანდება. ქებას თუ დასწერთ გუნიას შესახებ დიდის სიამოვნებით დაგიბეჭდავთ, ვინაიდან ჩვენმა მკითხველებმა იციან ვისი ავი და კარგი აზრია საყურადღებო. ნურას უკაცრავათ.

**საჩინო.** ძველ საჩინოელ ნაცნობს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, ვინაიდან ალბათ არც თქვენ იცით რასა სწერთ. „ეშმაკის მათრახში" მოთავსებული წერილის ავტორი „საჩინოელი" რედაქციას კარგათ ეცნობა თქვენ მიერ მასზე მიწერილი ბრალდება სავსებით შეგიძლიათ უკან დაიბრუნოთ. ვერც ის გაგიგიათ აქებს თუ აძაგებს მამასახლისს ჩვენი კორესპონდენტი და ტყუილათ გამწყრალხართ. რაიცა შეეხება თქვენი ფსევდონიმის მითვისებას, ეს სხვა საქმეა, მაგრამ „საჩინოელი" ყველა საჩინოელს შეუძლია მოაწეროს, ეხეც არ იყოს ამ ბოლო ხანებში ისეთი აირია ფსევდონიმების საქმე, რომ ძაღლი პატრონს ველარ სცნობს, ყოველივე ზემოაღნიშნულის გარეშე თქვენ აღარც კი მოგიწერიათ ნამდვილი სახელ-გვარი.

**როდინაული.** ბასრს. თქვენი წერილი სრულებით არ არის ბასრი, პირ-იქით ის სიძველისაგან დაჟანგულია. ჩვენ კი მართლა ბასრსა და მახვილ რამე მოველოდით, თუმცა იმედი ჯერაც არ დაგვეკარგვია.



---

*) ცხადია ეს ახალ-მოგონება ქურდების დასაჭერათ არის დანიშნული, მაგრამ ჭიათურელი მუშის სახლიდან ქურდმა რა უნდა მოიპაროს? აზირებულია!!!




„დელეჟნით“ მოგზაურობა პროვინციაში.

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

# „ეშმაკის მათრახი“

გამოდის კვირაში ერთხელ.

ჟურნ. ლი ღირს. ერთი წლით—5 მანეთი ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, გასული წლის „ეშმაკის მათრახის“ ყველა ნომრები უფასოთ გაეგზავნება.

ხელის მომწერლებს ფული შეუძლია გამოგზავნოს პირდაპირ რედაქციაში: Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“, Т. Болквадзе.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პროსპ. № 65.